


# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში, ტოტოტიც ბეჭდუდი სიფყვას, ცყუილებით და ჭბრბით ბუძთის გაცანა ყუელა უჯადრისდბაგი უსამაგლესია.

**დაარსებულია 1918 წელს.**

სამუშაოთი, **11 თებერვალი, 2014 წელი.**

**№28 (7409)**

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: [sakresp@mail.ru](mailto:sakresp@mail.ru) და [sakresp@wanex.ge](mailto:sakresp@wanex.ge) ვებ გვერდი: [www.open.ge](http://www.open.ge) ფასი 50 თეთრი.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მთელ საქართველოსთან ერთად პირველად შეიტყო, რომ გუდამაყარში, დუშეთის რაიონის სოფელ მაქართის სკოლას ერთადერთი მოსწავლე – ბაჩო ნიკლაური შემორჩა.

სამწუხაროდ, საქართველოს მთიანეთში მრავლადაა თითო-ორი-ლა ბავშვის იმედად დარჩენილი არამც თუ სკოლა, არამედ მთელი სოფელი და... მთელი ხეობაც კი! ახალი ხელისუფლების გადაწყვეტილებით ამიერიდან ყოველ მაღალმთიან სოფელში არ დაიხურება არც ერთი სკოლა, რომელშიც თუნდაც ერთი ბავშვი დიდის. ბავშვების მშობლებს კი ყველა პირობა შეექმნებათ, რომ მშობლიური კერა არ ჩააქრონ, გამრავლდნენ და შვილებს ნორმალური განათლება მისცენ!

ამის დასტური იყო პრემიერ-მინისტრის გულწრფელი გადაწყვეტილება, რომ ოპერატიულად გამოხმაურებოდა სოფელ მაქართის IV კლასის მოსწავლის ბაჩო ნიკლაურის სევედიან ბედს და ძვირფასი საჩუქრებით გაეხალისებინა ის. ირაკლი ღარიბაშვილმა პატარა ვაჟკაცს პერსონალური კომპიუტერი, ველოსიპედი და იმედით სავსე ბარათი გაუგზავნა. პრემიერის წერილში ნათქვამია: „ბაჩო! ჩვენო პატარა ვაჟკაცო! მთელმა საქართველომ გაიგო, რომ გუდამაყარ-

## გუდამაყარელი ბიჭი და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი...

ში, მაქართის სკოლას ერთადერთი მოსწავლე ჰყავს – ბაჩო ნიკლაური, საამაყო ბიჭი. კარგი სწავლით, დიდი ნებისყოფით და, რაც მთავარია, მშობელი მიწისა და მთების სიყვარულით, შენი ერთგულებით უკვე ემსახურები სამშობლოს. სწორედ შენ და შენი ოჯახი იცავთ ჩვენს ქვეყანას, თქვენნაირი ადამიანების მხრებზე იდგა და დღემდე მოვიდა საქართველო. მაღლობა თქვენ ამისათვის! ბევრ სიხარულს და ნატვრის ასრულებას, სამშობლოს აყვავებას და ძლიერებას გისურვებ, ჩვენო სასახლო პატარა ვაჟკაცო, სამშობლოს ერთგულო მცველო!“ როგორც იტყვიან, ამ ბარათს კომენტარი არ სჭირდება. ღმერთმა გვიმრავლოს ბაჩო ნიკლაურის მსგავსი კარგი ყმები, საქართველოს მომავალი მცველნი და სარანგნი. ქვეყნის ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრს კი გულწრფელი მაღლობა ამ მამულიშვილური ნაბიჯისთვის. კარგი მაგალითი გადამდებია. ეგების, სახელმწიფოს მხარში ამოუდგნენ ჩვენი ქველმოქმედი ბიზნესმენები და ქართული სოფლების გაპარტახებული სკოლების არც ერთი მოსწავლე არ დატოვონ მზრუნველობის გარეშე... ...ამ ფოტოებზე კარგად ჩანს, პრემიერის საჩუქრებმა, პრემიერის გულის სითბომ თუ როგორ გაათბო უმკაცრესი ზამთრის ერთი დღე ბაჩო ნიკლაურის სოფელ მაქართში...

ამ ბარათს კომენტარი არ სჭირდება. ღმერთმა გვიმრავლოს ბაჩო ნიკლაურის მსგავსი კარგი ყმები, საქართველოს მომავალი მცველნი და სარანგნი. ქვეყნის ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრს კი გულწრფელი მაღლობა ამ მამულიშვილური ნაბიჯისთვის. კარგი მაგალითი გადამდებია. ეგების, სახელმწიფოს მხარში ამოუდგნენ ჩვენი ქველმოქმედი ბიზნესმენები და ქართული სოფლების გაპარტახებული სკოლების არც ერთი მოსწავლე არ დატოვონ მზრუნველობის გარეშე... ...ამ ფოტოებზე კარგად ჩანს, პრემიერის საჩუქრებმა, პრემიერის გულის სითბომ თუ როგორ გაათბო უმკაცრესი ზამთრის ერთი დღე ბაჩო ნიკლაურის სოფელ მაქართში...



**ირან-საქართველოს ურთიერთობების უსაძლო პერსპექტივები** ③

**სწოილი რუსი თეოლოგისა და მეცნიერის სენსაციური განცხადება**

„...მეგრამ რა საერთო აქვთ აფხაზეთთან იბათ, ვისას ჩვენ ღღას ⑤ აფხაზებს ვუნოღაბთ?“

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..





გაზარილი ავტორიტეტი

ნაცმომრამის აქტიური წევრები კვლავ გულმოდგინედ განაგრძობენ პოლიტიკურ ოპონენტთა „გამოაშკარავებას“...

თუ რამდენად შეესაბამება ქალბატონ ნადირაშვილის მიერ გამოქვეყნებული მასალები სინამდვილეს, ეს, ვფიქრობთ, ცალკე განსჯის საგანია...

მაინც რაზეა ლაპარაკი ალნიშნულ კვლევაში? მოკლედ თუ ვიტყვით, მასში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ყოფილ მაღალჩინოსანთა ქონებრივი დეკლარაციებისა და მათი ოჯახის ახლოხელ-ნათესავთა ბიზნეს-ინტერესთა მონაცემებია მოყვანილი...

მონიტორინგის შედეგებით, თბილისის ამჟამად უფლებამოსილება შეჩერებული მართან გიგი უგულავასთან დაკავშირებული კომპანიების „მანი“, „ჯეოლენდი“, „თ.ფ.“, „ლთ ჯგუფი“, სხვები უკავშირდება. კერძოდ, უფლებამოსილება შეჩერებული მერის ძმის ირაკლი უგულავას კომპანია „ჯეოლენდი“ 38 სახელმწიფო ტენდერში გაიმარჯვა...

დოკუმენტის ავტორები ყურადღებას პარლამენტის წევრ გიგი თარგამაძის ოჯახის წევრებისა და მათთან დაახლოებულ პირთა საქმიანობაზე ამახვილებენ...

363 ათასი ლარია, ასპროცენტური წილის მფლობელია. გარდა ამისა, იგი ასევე ფლობს სამშენებლო კომპანია შპს „არქსტუდიაში“ 20-პროცენტული წილს...

სამუოზლოჭსაიეზი

ლიონი ლარი შემოსავალი აქვს მიღებული. 2010-13 წლებში, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, საქართველოს ეროვნული ბანკისთვის შესრულებული აქვს 22 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოები...



დაკავშირებულ ფირმებზე, რომლებსაც, არსებული მასალებით, დაახლოებით 45 მილიონი ლარი შემოსავალი აქვთ მიღებული. ასევე ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ „საჯარო ინფორმაციის თანახმად, გიგა ბოკერიას ფარული ბიზნეს-ინტერესები უნდა დავიანახოთ მამის, მისი ძმის, ცოლისა და სიძის ბიზნეს-საქმიანობაში“.

ლე კახაბერ ნინუა, მათ შორისაა შპს „გალფ რეინინგი“ (ერთობლივი შემოსავალი 324 ათასი ლარი, ასპროცენტური წილი, მოლვანოვების სფერო - ავტომანქანებით მომსახურება)...

კაკალ გულვი

წერთილოვანი ფრაზები

- რომ არ ვთქვა და პირშიც არ ვუთხრა სადაც შევხვდები სათითაოდ ყველას, არ გამოვა...
დღეს ზურა ვაზაგაშვილის უმონწილოდ დახვეწის მ წლისთავი იყო და ვერც ერთი დღეც დღეს სხლისუფლების წარმომადგენელი იქ ვერ ვნახე...

კაკალ გულვი

- გინებას-მეთქი ხელისუფალს. ის კი თურმე მისოს გზას მიჰყვება და სახელისუფლებო არასამთავრობოებს ჰქმნის. მისოს ნუგეიებს, სოროსის ლგბტ არასამთავრობოებს კიდევ მაგისი აკლდა, ამდენს როგორ მოვერევი, ტო?!

კვადრატული მეტრის ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი აქვს შეძენილი, მანამდე კი, 2011 წლის სექტემბერში, მასვე წყნეთის სატყეოს ტერიტორიაზე 1000 კვადრატული მეტრის ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი შეუძენია...

დასასრულ კი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან და საერთაშორისო ნორმატიული ვალდებულებებიდან გამომდინარე მიუთითებს, რომ თანამდებობის პირის ვალდებულება - თავი შორს დაიჭიროს ინტერესთა კონფლიქტისგან, წარმოადგენს მის არა მარტო სამართლებრივ, არამედ ეთიკურ-ზნეობრივ ვალდებულებასაც...

რაც შეეხება ქ-ნ ჩერგოლიშვილის განცხადებას, რომლის თანახმად იგი არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიმართ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს, ალნიშნულია მიერ გაკვეთილზე განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ „თუკი ბატონი გიგა ბოკერიას ოჯახი მიიღებს გადაწყვეტილებას გამოქვეყნებულ მონიტორინგში მოტანილი ფაქტების გამო მიმართოს სასამართლოს, იქნება შესაძლებლობა მხარეებმა საკუთარი არგუმენტები და დასაბუთება უკვე სასამართლო პროცესში წარმოადგინონ“...

ოთარ ტურაპალიძე







რას წერენ, რას აზრობენ ჩვენზე

ავსტრალიისა და სამხრეთი ოსეთის ლიდერების ალექსანდრე ანკეაბისა და ლეონიდ თიბილოვის ჩასვლამ ოლიმპიადამდე სოჭში გამოიწვია პროტესტი ქართული ოპოზიციისა და საზოგადოებრიობის იმ ნაწილში, რომელიც გამოდიოდა საქართველოს მონაწილეობის წინააღმდეგ 2014 წლის ოლიმპიადაში.

ანკეაბი და თიბილოვი იმყოფებოდნენ ზამთრის თამაშების გახსნის ცერემონიაზე, შემდეგ კი, მათი პრესსამსახურიდან შემოსული ინფორმაციის თანახმად, მონაცემებს შეხვედრა სოჭში, სადაც „განხილეს ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები“. ლეონიდ თიბილოვის პრეს-სამსახურმა ასევე გადმოსცა, რომ სამხრეთი ოსეთის ლიდერი შეხვედა სოჭში რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დსთ-ს საკითხების კომიტეტის თავმჯდომარეს ლეონიდ სლუცკის.

ადრე საქართველოს ხელისუფლება აცხადებდა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან შემოსულ დადასტურ-

მათი პარტია არაერთგზის აფრთხილებდა ამის შესახებ ხელისუფლებას და მოუწოდებდა მას, ბოიკოტი გამოეცხადოს სოჭის ოლიმპიადას.

„როგორ შეიძლება თიბილოვი და ანკეაბი ესწრებოდნენ ოლიმპიადას, როგორც კერძო პირები, თუ რუსეთის ხელმძღვანელობა მათ აღიქვამს, როგორც გამოყოფილი რეგიონების ოფიციალურ ხელმძღვანელებს? კიდევ რა უნდა გააკეთოს რუსეთმა იმისთვის, რომ ჩვენმა მთავრობამ, ბოლოს და ბოლოს, ამოიღოს თავი სილიდან და დაიცვას საქართველოს სუვერენიტეტი?“, — განაცხადა საქართველოს საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა გიორგი კანდელაკმა თავის კომენტარებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის.

საქართველოს ხელმძღვანელ წრეებში პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთმნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მმართველი ელიტის ნაწილი კვლავ ამტკიცებს, რომ სოჭში არაფერი ხდება ისეთი, რომ კომენ-

სოციალური ქსელების ქართველი მომხმარებლები პროტესტს აცხადებდნენ იმის წინააღმდეგ, რომ მოსკოვმა ჯერ სომ „ნაგვართვა ტერიტორიები“, ანლა „სურს მიითვისოს საქართველოს ისტორია“.

ალფოტების ყველაზე მასშტაბური ტალღა აგორდა მას შემდეგ, რაც გახსნის ცერემონიაზე ქართველი ოლიმპიელების გავლის დროს მონიტორებზე გაჩნდა საქართველოს „დანისლული რუკა“. კერძოდ, „ნისლი“ ფარავდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ოლიმპიადის ოფიციალურ გვერდზე საქართველოს რუკა წარმოდგენილია საერთაშორისოდ აღიარებული მისი საზღვრების ფარგლებში, მათ შორის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით.

„არ ვიცი, თუ როგორ აჩვენებს სხვა ქვეყნების რუკები, ანდა როგორ შეიძლება ახსნა ეს ღრუბელი საქართველოს რუკის თავზე ვიცი, რომ თამაშების ოფიციალურ გვერდზე საქართველოს რუკა იყო ისეთი, როგორცაა საქართველოს რუკა... ვინაიდან უზრუნველყოფის კომენტარებიც იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთმა აღიარა საქართველოს მთლიანობა. ვფიქრობ, არ შეიძლება ეს (დანისლული რუკა) აღვიქვათ, როგორც პროვოკაცია“, — აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

მიუხედავად ამისა, საგარეო საქმეთა მინისტრის არგუმენტი არ აღმოჩნდა და მჯერებელი საქართველოს ყველა მცხოვრებისთვის.

„ზოგიერთს სურს, აჩვენოს, რომ საქართველოს რუკა, თითქოსდა, შემთხვევით დაფარული რაღაც თეთრით, ნისლს რომ ჰგავს, შემთხვევითია. მინდა ერთმნიშვნელოვნად განვაცხადო, რომ ეს გაკეთდა განზრახ. საქართველოს ხელი-სუფლებას ბევრი წარმომადგენელი ცდილობს, მოიწონოს რუსეთის მხარის მოქმედებები და პროვოკაციები, რაც რუსეთის ხელმძღვანელობის მიერაა დაგეგმილი. სამწუხაროდ, ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პროვოკაცია გახდა ის, რომ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ლიდერები ჩავიდნენ სოჭში. ჩვენ არაერთგზის ვაფრთხილებდით საქართველოს მთავრობას იმის შესახებ, რომ ეს აუცილებლად მოხდებოდა“, — განაცხადა ოპოზიციური პარტიის „ევროპული დემოკრატების“ ლიდერმა პაატა დავითაიამ.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მთავრობის წარმომადგენლები არაერთგზის გამოდიოდნენ სოჭში ოლიმპიადის გამართვის წინააღმდეგ და ამას სხვადასხვა მიზეზებით ხსნიდნენ.

მათ შორის, ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ოლიმპიადის გაიმართება იმ ადგილებში, სადაც მიმდინარეობდა ჩეჩენი ხალხის განადგურება (ზოგიერთი მკვლევარი ამას გენოციდს უწოდებს), აგრეთვე იმას, რომ ოლიმპიური ობიექტების მშენებლობისთვის რუსეთის მხარე იყენებს სამშენებლო მასალას აფხაზეთიდან, რითაც ზიანს აყენებს გარემოებებს საქართველოს გამოყოფილ რეგიონში. 2012 წელს საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, რუსეთთან დაწესებული დიალოგის ფონზე, საქართველოს ახალმა ხელმძღვანელობამ გადასინჯა პრეზიდენტ სააკაშვილის მთავრობის გადაწყვეტილება სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტის შესახებ.

სოჭში XXI ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს საქართველოს ოთხი სპორტსმენი წარმოადგენს.

საქართველო და ოლიმპიადის პირველი დღეები
საქართველოში უკმაყოფილონი არიან სოჭში ანკეაბისა და თიბილოვის ჩასვლით, სარაკლამო ჭრის ბაზო პროვოკაციების შესახებ და „ნისლით“ გამოყოფილი რეგიონების თაობაზე



რებაზე მითითებით, რომ სოჭში ოლიმპიადის დასრულების შემდეგ მინიშნული არიან მხოლოდ სპორტსმენები და იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებიც ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობენ. შესაბამისად, ამბობდნენ საქართველოს ხელმძღვანელობის წარმომადგენლები, საქართველოდან გამოყოფილი რეგიონების ხელმძღვანელებს არ გაეგზავნათ ოფიციალური მინიშნვა. ვარაუდობდნენ, რომ თუ თიბილოვი და ანკეაბი ჩავლენ სოჭში, იქნებიან როგორც კერძო პირები. მიუხედავად ამისა, ოლიმპიადის დასრულებისა და სამხრეთი ოსეთის ლიდერების გამოჩენამ საქართველოს საზოგადოებაში ალფოტების ახალი ტალღა გამოიწვია.

„კიდევ რა უნდა გააკეთოს რუსეთმა?“

ოპოზიციური „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა (პარტიას სათავეში უდგას საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი) განაცხადეს, რომ თიბილოვისა და ანკეაბის ჩასვლა სოჭში მათთვის მოულოდნელი არ ყოფილა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ამტკიცებენ, რომ რუსეთი ყოველმხრივ შეეცდებოდა, გამოეყენოს ზამთრის ოლიმპიური თამაშები იმ შედეგის ლეგტიმისაციისთვის, „რომელიც მიიღო ქართული ტერიტორიების რუსული ოკუპაციის შედეგად“ და რომ

ტარებს საჭიროებებს, სხვები საპირისპიროს აცხადებენ.

„ჩვენ არ შეგვიძლია მოვხდინოთ ოფიციალურად რეაგირება. ოფიციალურად ისინი (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ლიდერები) არ ყოფილან მინიშნული არც ოლიმპიური კომიტეტის, არც რუსეთის ფედერაციის მიერ. მასადაამე, ამ ეტაპზე მე ვერ ვხედავ იმის აუცილებლობას, რომ მოვხდინო რაიმე რეაგირება“, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა მაია ფანჯიკიძემ.

„ლუჩკი ნისლი“ მბზრამ ოლიმპიადამდე აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ხელმძღვანელების ყოფნა ერთადერთი ფაქტორი როდი აღმოჩნდა, რომელმაც საქართველოში გაღიზიანება გამოიწვია. აღფრთოვანება მოხდა მას შემდეგ, რაც ოლიმპიადის სარეკლამო რგოლში აჩვენეს არგონაზები, რომლებიც ძველი ბერძნული ლეგენდის თანახმად, ჩამოვიდნენ საბერძნეთიდან ოქროს საწმისისთვის კოლინდაში (დასავლეთი საქართველო).

დედაიქნის ზურგზე



უკრაინაში უსწობა სულიწინაა

კვარცხლბაქიდან ლენინის მორიგი კაპლი გამოავლანს
ლენინის ძეგლი ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან იდგა სკვერში სახელმწიფო რაიონული ადმინისტრაციის შენობის პირდაპირ, აღნიშნავენ შინაგან საქმეთა სამინისტროში. მინაზე დაცემისგან „მიგნით ცარიელი ქანდაკება ნაწილებად დაიშალა“. უწყებაში განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ დაზარალებული ძეგლი არ არის არქიტექტურული ან ისტორიული ღირებულებისა, თუმცა საქმე აღიძრა.

უკრაინაში კუსთისგან მორიგი მორიგი მორიგი მორიგი

პირველი მინიშნებები ამ ქვეყანაში, სადაც თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი შეიძლება მომდევნო პრეზიდენტი გახდეს, დაიწყო. მიმდინარე წლის შუა პერიოდამდე, — წერს ერთ-ერთი გაზეთი. ადრე დადიოდა სმები ეგვიპტელი მემორების განზრახვის შესახებ, შეესყიდათ რუსეთის ფედერაციაში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, საბრძოლო შევსულ-მფრენები, გამანადგურებლები მიგ-29 და ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსები.

ბოქსი უსწობა გუბერნატორი აირჩიეს. ქალაქმა ეს გაეგზავნა სექს-გაფრთხილ ალენის

ჯანმრთელობის დაცვის ექსპერტმა იოიტი მასუომე წინასაარჩევნო კამპანიის დროს განაცხადა, რომ ქალაქისთვის ადგილი არ არის მთავრობაში, ვინაიდან ისინი არიან „არაადეკვატურები“ მენსტრუალური ციკლის გამო. იაპონელმა ქალაქმა გადამწყვიტეს, უარი უთხრან იმ მამაკაცებს სექსზე, რომლებმაც სმა მისცეს მათს შეურაცხყოფლებს.



იაპონიაში კაპორული თოვის გამო აღუპაულა რიხსხვა 13 კასს ვიანია, 1700 დაუპაულა

მეტეოროლოგების მონაცემებით, თოვლი დღე-ღამისა და კიდევ ერთი დღის განმავლობაში მოდიოდა განუწყვეტილად. წინა დღით ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში იდგა მზიანი, თბილი ამინდი. თოვლის საფარმა ზოგიერთ ოლქში 35 სანტიმეტრს მიაღწია. ტოკიოში ამ მაჩვენებელმა მოხსნა 45 წლის წინანდელი რეკორდი და მიაღწია 27 სანტიმეტრის ნიშნულამდე.











ღაიჯესტი

სილამაზე მარტო ბარბენული მოხიზვარეობა როდია

06 მარტს 06 წლის ქალი-ბარბენული მოხიზვარეობა...



მკვლელებმა ვინც არ არსებობს, ცნება „სილამაზე“ კარგი გარეგნობის გარდა...

სხვათა შორის, გამოკითხვაში ქალბატონებიც მონაწილეობდნენ...

აპ. მოლი, პატარავ, ძილის დრო!

ფილადელფიის უნივერსიტეტის დიეტოლოგებმა დაადგინეს...



თავდაპირველად მკვლელებმა პატარებს ერთი კვირის განმავლობაში სთხოვეს...

მატი იმოკრაპუ!

მცენიერებმა ადამიანის სისხლის ჯგუფსა და ინსულტის წარმოშობის საფრთხესთან კავშირი დაადგინეს...

აღმოჩნდა, რომ ინსულტის საფრთხე უფრო მეტად ორივე სქესის სისხლის მე-4 და ქალების მე-3 ჯგუფის მქონეთ ემუქრება...

საუკეთესო შორის საუკეთესო

ბრიტანეთის დეტექტიური ჟანრის მწერალთა ასოციაციის ვერსიით...

კენჭისყრაში მონაწილეობა კრიმინალური რომანების ექვსასამა ავტორმა მიიღო...

პარტიზანი... კანკურუ

წარმოადგინეთ სარატოველ ტურისტთა გაცემა...

სოკოს საკრებულომ გასულ წელს ნარნარად მოხსტუნავე ცხოველის ფოტოზეც და ვიდუოზეც გადაღება მოასწარეს...



თი კვირა სარატოვის ტყეებში „პარტიზანობდა“.

უპიწოდო საყარო

ბოლო წლებში გახშირებული უმძლავრესი ტაიფუნებისა და ტორნადოების წყალიდობებისა და სხვა სასტიკი ბუნებრივ მოვლენებს მთელი რიგი მეცნიერი დედამინაზე გლობალური დათბობის პროცესს უკავშირებს...



მანამდე კი მკვლევარებმა რუკა შეადგინეს, რომელზეც ასახულია, თუ როგორი იქნება დედამიწა...

მა, თუკი მისი ყინულოვანი საფარი დადნება. მეცნიერთა პროგნოზით, ამ შემთხვევაში წყლით დაფარება ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი სანაპირო...

ჩვენი პრესდაიჯესტი

კუმინეჯი ვახუშტიანი



მარტიდან დევენილიანი დენის საზღაპრის თაგად გადახილვია

პირველი მარტიდან დარახველიანი უწყებისა და „ენერჯი-პროჯორჯიას“ შორის ვალდებულება დევენილების ყოველთვიურად 100 კილოვატის სუბსიდირების შესახებ წყდება...

„რეზონანსი“

ივანიშვილმა პატრიარქმა ნადირშვილის სეზონი გამომაცხადია

ამბობს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკუა, ივანიშვილსა და პატრიარქს აბსოლუტურად დიამეტრალურად განსხვავებული მსოფლმხედველობა აქვთ...

„სასაზღვრო-დასაზღვრო“

თეა წულუკიანის მიენისტრობა ნიკიანე პიქარა კიქია!

მომხიზვარეობს თუ არა ვილაღ-ვილაღებმა წულუკიანისა და ივანიშვილის ურთიერთობის გაფუჭება? - ამ კითხვაზე დასაბუთებული პასუხი არ არსებობს...

„მისია“

რას პასუხობს ნინო ბურჯანაძე ვანო მერაბიშვილს?

„დემოკრატიული მოქრობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ 26 მაისის საქმეზე შს ექსმინისტრი ივანე მერაბიშვილის წინააღმდეგ ჩვენება მისცა...

„ძროწია“

კაღრი



ციცხალი ანკალოთავი

- შველიმით ფეხები გაქვს!
- მასავით მოხდენილი?
- არა, ბანჯგვლიანი!
- გურული ექიმთანა. ექიმი მსრებს იჩივას:
- ვერაფრით ვერ გავიბე, რა გჭირთ?!
- მე რომ გითხრა, ფულს მაინც გადამხადიებ, ძამა?!
- ალო, ნანა მინდა!

- ჯერ ფიში-ფიში ქენი \* \* \*
- კბი ენაჭარტალები ხართ კახლები! - სულაც არა!
- აბა ვირების და კახლების ამბავი ვირებმა გააბაზრეს? \* \* \*
- მაღაზიანო:
- მოვითხოვ უკან წაილოთ ეს შეურაცხყოფელი სიტყვები!
- უკან ჩვენ არაფერს ვღებულობთ, შემძლია შეგიცვალოთ!

ავტორთა საჭურაღვარო! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით...

საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ანკლიშვილის (მწიფილი) პეროშკინის) ძ. 19
ბაგრომცემლობა: უკან, თიანაღმობა-ტაგაზე
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79)
შს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორი“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

ISSN 2233-3851
მთავარი რედაქტორი ალიკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86
ბასუხისმგებელი რედაქტორები:
ბურაგ გომიანიშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
საბრტაპ მოშულია 599 36-00-35
ბასუხისმგებელი მდივანი
ბაგუპა ბაგუპიაძე 514 33-33-24